პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

პარასკევი 1 იანვარი 1937 წ. № 1 (88) ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1926 წლის ნიმუშის პარტიული ბილეთების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

დაწესდეს, რომ 1937 წლის 1 თებერვლიდან 1926 წლის ნიმუშის პარტიული ბილეთები და ძველი ნიმუშის საკანდიდატო ბარათები გაუქმებულია.

პარტიის წევრები და კანდიდატები, რომლებმაც ძველი პარტიული დოკუმენტები ამ დროისათვის არ გამოხცვალეს ახლებზე ჩაითვალონ, როგორც პარტიიდან მექანიკურად გახულნი.

საქ. კ. პ. (ბ) Ც. К-Ი.

29 დეკემბერი 1936 წ.

# მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის!

## ახალი წელი

საბჭოთა კავშირის ხალხები ახალ – 1937 წელს ხვდება სრული ბედნიერებითა და სიხარულით. გამარჯვებულმა სოციალიზმის ქვეყანამ უდიდეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებით დაამთავრა მეორე ხუთწლედის მეოთხე წელი. საბჭოთა კავშირში მუშაობის სტახანოვური მეთოდის ფართედ დანერგვის შედეგად მთელმა რიგმა წარმოებებმა მეორე 5 წლიანი გეგმა 4 წელში შეასრულეს.

ლენინ-სტალინის პარტიამ ხალხთა დიდი ბელადის—**დიდი სტალინის** მეთაურობით „უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების უმაგალითო ზრდა". სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სამუდამოდ და საბოლოოდ.

ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ცხოვრება გახდა ბედნიერი, ცხოვრება გახდა საამური. საბჭოთა კავშირი გადაიქცა სიხარულისა და ბედნიერების ქვეყნად.

სტალინური კონსტიტუცია ამიერიდან მოქმედობს როგორც სოციალისტური საზოგადოების ურყევი კანონი. ეს უდიდესი მონაპოვარი ფრთებს ასხამს, ყველა მშრომელს სოციალიზმის თვალუწვდენელ ქვეყნის კიდით-კიდემდე.

ბედნიერი, საამური და სასიხარულო ცხოვრებით აღჭურვილი საბჭოთა ხალხი ახალი წლის დასაწყისს ზეიმით ეგებება. საბჭოთა კავშირის 170 მილიონიანი ხალხი წარმტაცი აწყმოთი და მომავლის ბრწყინვალე პერსპექტივებით გახსივოსნებული უდიდესი ერთგულებისა და სიხარულის გრძნობით კიდევ შესძახებს:

— მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.

— დღეგრძელობა ახალ კონსტიტუციის შემომქმედს — ბრძენ სტალინს.

იქ კი, ბებრუხანა კაპიტალიზმის ქვეყნებში, სადაც კრიზისი და უმუშევრობა მძვინვარებს, სადაც კაცობრიობის მოწინავე პროგრესიული იდეალები ჯალათურად ფეხქვეშ ითელება კაციჭამია ფაშიზმის მიერ, სადაც სახრჩობელა-კატორღებით და ბნელი საკანით ლამობს ბურჟუაზია რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას, ახალი წელი აღინიშნება კლასობრივი შეტაკებებით, რევოლუციური ძალთა მობილიზაციით, სისხლიან ფაშიზმთან მუშათა კლასის გმირული ბრძოლით.

უძლეველია საბჭოთა კავშირი. ის თანმიმდევრობით და ბოლომდე იცავს მშვიდობიანობას, მაგრამ თუ მტერი გაბედავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოზე თავდასხმას, საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალული ჩვენი ხალხი უძლეველ წითელ არმიასთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მრისხანე ძალად მოევლინება მტერს და გაანადგურებს მას.

ფაშიზმის მიერ მოსყიდული გესტაფოს აგენტები, ტროცკისტულ-ზინოვიევურ კონტრრევოლუციური ბანდა პროლეტარულ რევოლუციური კანონიერების რკინის ქუსლით იქნა გასრესილი. ხალხის მტრები განადგურებულია, მაგრამ მათი ნაბოლარები აქაიქ არის დარჩენილი. ამიტომ, კიდევ უფრო უნდა გავამახვილოთ რევოლუციური შეტევით სიფხიზლე, რომ გამოვავლინოთ და საბოლოოდ ავლგვად დედამიწის პირიდან ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციის საზიზღარი ნაბოლარები.

გაუგონრად გაიზარდა, გაიფურჩქნა და აყვავდა საბჭოთა ხალხების კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ წელს თვალსაჩინო მიღწევებით ხვდება: გაიზარდა ფრიადოსანთა რიცხვი, განმტკიცდა ძველ მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი, გამოიზარდა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკები, გაცხოველდა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა მეცნიერების ყველა დარგში და სხვ.

1937 წლიდან განსაკუთრებული ენერგიით ბოლშევიკური შეუპოვრობით, სტახანოვური ენტუზიაზმით უნდა განვაგრძნოთ ბრძოლა პირველობისათვის.

ტფ. სახ. უნივერსიტეტს შექმნილი აქვს ყველა პირობა რომ იყოს საბჭოთა კავშირის მოწინავე უნივერსიტეტების რიგებში. ის უდიდესი ზრუნველობა, რომელსაც იჩენს ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტი და მისი სახელოვანი ხელმძღვანელი **დიდი სტალინის** საუკეთესო მოწაფე ამხ. **ლ. ბერია** ტფილისის სახ. უნივერსიტეტის მიმართ, ავალებს სახელმწიფო უნივერსიტეტს მუდამ იყოს ორდენოსანი საქართველოს ღირსეული მეცნიერული კერა.

## საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს [redacted]ს



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრიადოსანი და დამკვრელი სტუდენტები, რომლებიც შეიკრიბენ სესიებისათვის მზადებასთან დაკავშირებით, მხურვალე სალამს გიძღვნიან თქვენ, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეს, ამიერ კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ხელმძღვანელს.

თქვენი უშუალო და კონკრეტული ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბრწყინვალე მიღწევები მოიპოვა სასწავლო გეგმების შესრულების საქმეში: გეგმა შესრულდა 100,73 პროცენტით, განმტკიცდა სწავლებისა და შრომის დისციპლინა, ამაღლდა სწავლის დონე და ხარისხი.

გასულ წელს უნივერსიტეტში მხოლოდ 56 ფრიადოსანი სტუდენტი იყო, ახლა ფრიადოსანთა რიცხვი 182 უდრის, უნივერსიტეტში 498 საუკეთესო დამკვრელი სტუდენტია. ჩვენი მუშაობის პროგრამას წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ცეკასა და სახკომსაბჭოს ივნისის დადგენილება. პირობას გაძლევთ, რომ ამ დადგენილების საფუძველზე კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მივაღწევთ სწავლის საქმეში.

„ჩვენს ქვეყანაში კარგად სწავლა, სკოლაში სწავლის ფრიადოსნად ყოფნა—ეს ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც შრომის გმირად ყოფნა ქარხანაში, კოლმეურნეობაში, კულტურის ფრონტზე".

ჩვენ მუდამ გვახსოვს და ყოველდღიურად ვიბრძვით ამ თქვენი ბრძნული სიტყვების განხორციელებისათვის. გაძლევთ სიტყვას ძვირფასო, ამხანაგო ლავრენტი, რომ თვითეული ჩვენთაგანი ბოლშევიკურად იბრძოლებს და გახდება სწავლის გმირი.

**გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენ მშობლიურ მამას, ბედნიერ, საამურ და სასიხარულო ცხოვრების შემოქმედს საყვარელ სტალინს.**

**გაუმარჯოს საქართველოსა და ა/კ. ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს ამხ. [redacted]**

კონფერენციის პრეზიდიუმი.

## უდიდესი სტიმული

ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონკურსი საბჭოთა ახალგაზრდობის ძალთა ზრდის დემონსტრაციაა. სოციალისტური შეჯიბრების ეს ფორმა უდიდესი სტიმულია მუშაობის გასაღრმავებლად. იგი გამოაშკარავებს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებს და მათ ნაშრომს მთელ საბჭოთა საზოგადოებრივობას გააცნობს.

თვითეულმა ჩვენგანმა უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი. ახალგაზრდა მეცნიერები—საბჭოთა ქვეყნის გაზრდილები ვართ.

დღეს, ჩვენი ნამუშევარი საქვეყნოდ უნდა გამოვიტანოთ და ამით გავამართლოთ პარტიისა და ქვეყნის მზრუნველობა.

ე. ვირსალაძე

## კონკურსში სიხარულით ჩავები

კონკურსში ჩავები სიხარულით. ჯერ-ჯერობით მივაღწიე შემდეგს: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, რაზედაც მე ვმუშაობ სპეციალურად, უკვე დაწერილი მაქვს შრომა 20 ფორმამდე რომლის ნაწილი უკვე გამოქვეყნდა და მიღებულია დისაბეჭდათ (დაიბეჭდა ტფილისის სახ. უნივერსიტეტის „შრომებში" და ჟურნალ "მნათობში").

საკონკურსოდ ვადგენ შრომას—**„ძველი ქართული ლიტერატურის გარდამავალი ხანის ეპოხის ისტორია"**. ეს თემა დავამუშავე სამუზეუმო საარქივო მასალების მიხედვით. დადგენილი და გამოძიებული მაქვს ისეთი პრობლემები, რომელთაც ქართული ლიტერატურის მცოდნეობა არ შეხებია და არც იცნობს. ამასთანავე ვფიქრობ, თემა მეტად აქტუალურია. იგი პირველ ყოვლისა შეეხება საქართველოში მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის გამოხატულებას ძველ ლიტერატურაში.

ტ. რუხაძე.

## ყოველგვარი პირობებია შექმნილი

რამდენიმე წელია რაც მეცნიერულ მუშაობას ვეწევი. ამ ხნის განმავლობაში სამი მეცნ. შრომა მაქვს დასაბეჭდათ გამზადებული. ჩემი მუშაობის სფერო ახალი ქართული ლიტერატურით განისაზღვრება.

საბჭოთა ქვეყანაში, სადაც უდიდესი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მეცნიერულ მუშაკების აღზრდას და ყოველგვარი პირობებია შექმნილი მეცნიერული მუშაობის ნაყოფიერად ჩატარებისათვის, გვეძლევა საშუალება ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა მეცნიერების სალაროში.

ვანო კაკაბაძე







ახალგაზრდა მეც. მუშაკები: ს. წერეთელი, მ. ხუნდაძე და პ. გიგიბერია, რომლებიც ჩაებენ ახ. მეც. მუშაკთა საკ. კონკურსში

# გარდაიცვალა ორდენოსანი მწერალი ნ. ოსტროვსკი

## უკანასკნელი წერილი

ამ დღეებში მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის დედამ შვილისაგან მიიღო წერილი, გაგზავნილი 4 დეკემბერს.

„ძვირფასო დედა! დღეს დავამთავრე მთელი მუშაობა „ქარიშხლით შობილნის“ პირველ ტომზე. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისთვის მიცემული სიტყვა—რომ წიგნს დავამთავრებდი 15 დეკემბრისთვის—მე შევასრულე. მთელი ამ თვის განმავლობაში მე ვმუშაობდი „სამ ცვლად“. ამ პერიოდში საშინლად დავტანჯე ჩემი მდივნები, წავართვი მათ გამოსასვლელი დღეები, ვაიძულებდი ემუშავნათ დილიდან შუაღამემდე. საბრალო ქალიშვილები! არ ვიცი, რას ფიქრობენ ისინი ჩემზე, მაგრამ მე მათ უსინდისოდ ვექცეოდი.

ახლა ყოველივე ეს გათავებულია მე უზომოთ დავიღალე. მაგრამ სამაგიეროდ წიგნი დამთავრებულია. სამი თვის შემდეგ დაიბეჭდება და გამოვა „რომან-გაზეტაში“ ასორმოცდაათიათასიანი ტირაჟით, შემდეგ რამდენიმე გამომცემლობით საერთოდ ნახევარ მილიონ ეგზემპლიარამდე.

შენ ალბათ წაიკითხავდი ანდრე ჟიდის გამცემლობის ამბავს. როგორ მოატყუა მან ჩვენი გული მაშინ! და ვინ იფიქრებდა დედავ, რომ იგი ასე ვერაგულად და უნამუსოდ მოიქცეოდა!

დეე რცხვენოდეს ამ მოხუც ადამიანს თავისი საქციელისა! მან მოგვატყუა არა მარტო ჩვენ, არამედ მოატყუა მთელი ჩვენი მძლე ხალხი. ახლა მის წიგნს სახელწოდებით „რუსეთიდან დაბრუნება“ ყველა ჩვენი მტერი გამოიყენებს სოციალიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასის წინააღმდეგ. ჩემს შესახებ ანდრე ჟიდმა ამ წიგნში „კარგად“ დასწერა. იგი ამბობს, ოსტროვსკი რომ ევროპაში სცხოვრობდეს „წმინდანად„ მიიჩნევდნენო და ა. შ.

მაგრამ ამაზე აღარ ვილაპარაკებ, მე მძიმედ განვიცადე ეს გამცემლობა, იმიტომ, რომ გულწრფელად დავიჯერე მისი სიტყვები და ცრემლები, აგრეთვე ის, რომ იგი ასე აღტაცებით ესალმებოდა ჩვენს ქვეყანაში ყველა ჩვენს მიღწევას და გამარჯვებებს.

ახლა მე დავისვენებ მთელ თვეს. სტას ვიმუშავებ, თუ მოვითმინე. მე და შენ ხომ ერთნაირი ხასიათი გვაქვს, დედავ. მაგრამ მაინც დავისვენებ: ვიკითხავ, მოვისმენ მუსიკას და რაც შეიძლება მეტს ვიძინებ, თორემ ექვსი საათის ძილი არ კმარა.

შენ მოიმინე ბელადის სიტყვა საბჭოების VIII ყრილობაზე? მომწერე, მუშაობ, თუ არა ჩვენი რადიომიმღები?

მაპატიე, მშობელო, რომ არაფერს გწერდი ამ კვირეების განმავლობაში, მაგრამ მე არასოდეს არ მავიწყდები. გაუფრთხილდი თავს და მანედ იყავი. ზამთრის თვეები მალე გაივლის და გაზაფხულთან ერთად მე კვლავ დავბრუნდები შენთან. მაგრამ გართმევ ხელს, პატიოსან მუშის ხელს და სიყვარულით მოგეხვევი.

შენი ნ. ოსტროვსკი.



მწერალ **ნ. ოსტროვსკის**

მისალმება ამხ. **სტალინს.**

### ძვირფასო, საყვარელო ამხანაგო სტალინ!

**მინდა გითხრათ თქვენ—ბელადსა და მასწავლებელს, ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს, ეს გულის სიღრმიდან მომდინარე რამდენიმე მხურვალე სიტყვა:**

**მთავრობამ დამაჯილდოვა ლენინის ორდენით. ეს არის უმაღლესი ჯილდო. მე აღმზარდა ლენინურმა კომკავშირმა, პარტიის საიმედო თანაშემწემ. და სანამ ჩემი გული სცემს, მის უკანასკნელ მოძრაობამდე მთელს ჩემს სიცოცხლეს მოვახმარ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდა თაობის ბოლშევიკურ აღზრდას.**

**მე გული მტკივა, როცა ვფიქრობ იმაზე, რომ ფაშიზმთან უკანასკნელ ბრძოლებში ვერ შევძლებ ჩემი ადგილის დაჭერას მებრძოლთა რიგებში. მე შემბოჭა მძიმე ავადმყოფობამ. მაგრამ მით უფრო მეტი აღგზნებით ჩავსცემ ლახვარს მტერს სხვა იარაღით, რომლითაც შემაიარაღა მე ლენინ-სტალინის პარტიამ, რომელმაც წერა-კითხვის მცირემცოდნე მუშიდან საბჭოთა მწერალი აღმზარდა.**

**ოსტროვსკი.**

სოჭი, 2 ოქტომბერი, 1935 წ.

## ნ. ა. ოსტროვსკის ბიოგრაფია

ნიკოლოზ ალექსის-ძე **ოსტროვსკი** დაიბადა 1904 წელს ვოლინის გუბერნიის იზიასლავის მაზრის დაბა შეპეტოვკაში, რკინიგზელი მუშის ოჯახში. მან ადრევე დაკარგა მამა. იმ დროიდან დიდი გაჭირვებით ცხოვრობდა ოჯახი დედისა და უფროსი ძმის—რკინიგზის დეპოს ზეინკლის შრომით.

1915 წელს, როდესაც 11 წლის ბავშვი ნიკოლოზ ოსტროვსკი სამრევლო სკოლიდან გამოაგდეს, მღვდელთან მუდმივი უსიამოვნების გამო, იგი დიდი ვაივაგლახით მოეწყო სამუშაოზე სადგურის ბუფეტში. ამ დროიდან დაიწყო მისი ჯაფა, იგი მუშაობს მექვაბედ, საწყობის მუშად, ელსადგურზე ცეცხლფარეშის შეგირდათ.

1919 წელს ნიკოლოზ ოსტროვსკი შედის კომკავშირში და დგება მამაც მებრძოლთა რიგებში, რომელნიც იბრძვიან უკრაინის გასანთავისუფლებლად გერმანელ და პოლონელ ოკუპანტებისაგან. იგი მონაწილეობას იღებს სამოქალაქო ომში კოტოვისა და ბუდიონის ცხენოსანთა ნაწილებში. ნ. ა. ოსტროვსკი მძიმედ დაიჭრა ლვოვთან. მაგრამ ამან მხოლოდ დროებით გამოიყვანა მწყობრიდან მამაცი მებრძოლი. იგი ჯარს თავს ანებებს მხოლოდ სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ.

1921 წელს ნ. ა. ოსტროვსკი მუშაობს კიევში, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში. 1922 წლიდან კი—რკინიგზის შტოს დამკვრელ მშენებლობაზე. იგი აქ ავად გახდება ტიფით, მძიმე ავადმყოფობა გაურთულდება. განკურნების შემდეგ ნ. ა. ოსტროვსკის გზავნიან ბერეზდოვის მოსაზღვრე რაიონში შინაგანი დაცვის ჯარების ათასეულის კომისრად.

1924 წლიდან, როდესაც ნ. ა. ოსტროვსკი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფება კომკავშირის ხელმძღვანელ სამუშაოზე. 1927 წელს უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ღებულობს ყველა ზომას, რომ აღადგინოს ნ. ა. ოსტროვსკის ძლიერ შერყეული ჯანმრთელობა და საშუალება მისცეს ახალი ძალღონით შეუდგეს მუშაობას, ეს ვერ იქნა სავსებით მიღწეული. ნ. ა. ოსტროვსკი მუშაობს პროპაგანდისტად, ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინურ წრეებს. მთელ თავისუფალ დროს ანდომებს გაძლიერებულ მუშაობას თავის თავზე.

ლაშქრობანი, დაძაბული საორგანიზატორო და საპროპაგანდისტო მუშაობა, ძველი ჭრილობისა და ტიფის შედეგები იწვევენ მძიმე დაავადებას, რის შედეგად ნ. ა. ოსტროვსკი უსინათლო ხდება.

1928 წელს იწყება ნ. ა. ოსტროვსკის ლიტერატურული მოღვაწეობა.

„ფიზიკურად თითქმის ყველაფერი დავკარგე, დამრჩა მხოლოდ ახალგაზრდობის ჩაუქრობელი ენერგია და მგზნებარე სურვილი რითიმე სასარგებლო ვიყო ჩემი პარტიისა და კლასისათვის“,—სწერს ნ. ა. ოსტროვსკი თავის ავტობიოგრაფიაში. მთელ ძალღონეს იგი ანდომებს რომანის—„როგორ იწრთობოდა ფოლადი“—შექმნას. რომანი გამოდის 1932 წელს. მისი პირველი რომანი, რომელიც დიდად დააფასა საბჭოთა კავშირის მთელმა მშრომელმა ახალგაზრდობამ, პარტიამ და მთავრობამ, სწრაფად შეიქნა ერთერთ უსაყვარლეს წიგნად ჩვენს ქვეყანაში. იგი გადათარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე, აგრეთვე უცხო ენებზეც.

1935 წლის 1 ოქტომბერს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ნ. ა. ოსტროვსკი ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

მთავრობის მაღალმა ჯილდომ მწერალს ახალი ძალა შეჰმატა შემდეგომი მუშაობისათვის. სამოქალაქო ომის გმირი, რომელმაც ჯანმრთელობა დაჰკარგა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, ნ. ა. ოსტროვსკი, ავადმყოფი, არც ერთ წუთს არ სწყვეტდა სოციალიზმისათვის ბრძოლას მხატვრული სიტყვის იარაღით.

## ნ ი კ ო ლ ო ზ ო ს ტ რ ო ვ ს კ ი

„მე ვალდებული ვარ კიდევ ვიცოცხლო მინიმუმ სამი წელიწადი, რომ ჩვენს ახალგაზრდებს მივცე ორი-სამი საყვარელი წიგნი“, სწერდა ერთი წლის წინად ნიკოლოზ ოსტროვსკი.

მას არ დასცალდა. ავადმყოფობამ თავისი გაიტანა. შეწყდა შესანიშნავი ადამიანის სიცოცხლე. გარდაიცვალა მგზნებარე ბოლშევიკი, ნიჭიერი, ორდენოსანი მწერალი.

მძიმე ავადმყოფობით შებყრობილი, ლოგინად ჩავარდნილი, უსინათლო წლობით ებრძოდა სიკვდილს. ამ ბრძოლაში მან დასწერა შესანიშნავი წიგნი, რომლის თითოეული სტრიქონი გაჟღენთილია ხალხის მტრებისადმი უსაზღვრო სიძულვილის გრძნობით.

მგზნებარე ენერგიით, უჩვეულო სიმამაცითა და გატაცებით თლიდა და აქანდაკებდა იგი შესანიშნავ სტრიქონებს საბჭოთა ქვეყნის სინამდვილიდან, სამოქალაქო ომის გმირული ბრძოლებიდან.

ჩვენი სასახელო წარსულიდან მჩქეფარე აწმყოდან მან შექმნა წარუშლელი, კომუნისტური იდეალებით გამჭვალული გმირები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სოციალიზმის ქვეყნის ცხოველმყოფელი ძლიერებით. მათი მიზანი, მათი უმაღლესი იდეალი კომუნიზმისათვის თავდადება და ერთგულებაა.

ოსტროვსკის გმირები სოციალისტური სამშობლოს ცხოვრებით სუნთქავენ, მათ უყვართ და ამოძრავებს სოციალიზმის გამარჯვების საქმე, უყვართ სიცოცხლე, სიცოცხლე სახელოვანი, გმირული.

„ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა. სიცოცხლე მას ეძლევა მხოლოდ ერთხელ, და საჭიროა ისე იცხოვრო, რომ მწვავედ არ გტკიოდეს გული უმიზნოდ გატარებული წლებისათვის, რომ არ გწვავდეს სირცხვილი უსინდისოდ და წვრილმანი წარსულისათვის, რომ სიკვდილის დროს შეგეძლოს თქვა: მთელი ცხოვრება და მთელი ძალღონე შევალიე ქვეყანაზე ულამაზეს—კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლასო“ *).

ჭეშმარიტად შეეძლო ეს სიტყვები სიკვდილის წინ გაემეორებია ნიკოლოზ ოსტროვსკის.

ნიკოლოზ ოსტროვსკის განვლილი ცხოვრება საინტერესო და ამაღელვებელია. მისი ცხოვრება სავსეა თავდადებისა და გმირობის ეპიზოდებით. ოქტომბრის ქარიშხალში შობილი, კომკავშირის ღვიძლი შვილი სამოქალაქო ომის პერიოდში მაშხანით შეიარაღებული მკერდს უშვერდა ტყვიას, საკუთარი სისხლითა და ხორცით გმირულად იცავდა ახალგაზრდა საბჭოთა უკრაინას, გერმანიის და იაპონიის ოკუპანტებისაგან. ძლევამოსილი სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ომის ჭრილობათაგან განკურნებული იწყებს სოციალისტურ ფრონტებზე დაუღალავ მუშაობას. ხანგრძლივმა მუშაობამ ოსტროვსკის ორგანიზმი შეარყია, მაგრამ ვერ გატეხა მტკიცე ნებისყოფა. დასნეულებული ოსტროვსკი მხატვრული სიტყვით სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა სოციალიზმის საქმისათვის.

იშვიათია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ისეთი მწერალი და ადამიანი, როგორიც იყო ოსტროვსკი. ადამიანი, რომელმაც ფიზიკურად ყველაფერი დაკარგა სწერდა წიგნებს, ოპტიმიზმით სავსე სტრიქონებს. ზღაპრული ნებისყოფით, ჩაუქრობელი ენერგიით და სიხარულით შეხარიან სოციალიზმის დღეებს ოსტროვსკის გმირები. მის ნაწერებში არსად არ ჩანს უკმაყოფილებისა და უიმედობის ოდნავი გამოხატულებაც კი. ნიკოლოზ ოსტროვსკის წიგნები ცხოვრების სიყვარულისა და სიხარულის ჩაუქრობელი ცეცხლია. ეს ცეცხლი ნიკოლოზ ოსტროვსკის გულში ბოლშევიზმის, ლენინ-სტალინის პარტიის სიყვარულმა დაანთო და ამ სიყვარულს ნიკოლოზ ოსტროვსკიმ მთელი თავის კეთილშობილი, ნათელი და გმირული სიცოცხლე შესწირა.

ოსტროვსკი სულ მოკლე ხანში გახდა საბჭოთა ხალხის უსაყვარლესი მწერალი. მისი შესანიშნავი წიგნი—„როგორ იწრთობოდა ფოლადი“—170 მილიონიანი საბჭოთა ხალხის საყვარელი საკითხავი წიგნია. ოსტროვსკიმ შექმნა სამოქალაქო ომის ამაღელვებელი და შესანიშნავი ეპოპეია.

ოსტროვსკი თავის წიგნებში მოგვითხრობს ისტორიულ სიმართლეს, საკუთარი თვალით ნახულს და განცდილს. ამ სიმართლეში საბჭოთა ქვეყნის მკითხველმა თავისი ქვეყნის სინამდვილე დაინახა. სამოქალაქო ომის სუსხი, დიდი მხატვრული სითბოთი და განცდით დახატული და საბჭოთა მკითხველის აზრი ერთმანეთს შეხვდა, რამაც დაბადა მკითხველში უდიდესი სიყვარული ოსტროვსკისადმი.

ოსტროვსკის მიერ ასახული გმირები საბჭოთა სინამდვილის შესანიშნავი ადამიანებია. ამაღელვებელი და მიმზიდველი კორჩაგინის გმირულ საქმიანობაში საბჭოთა მკითხველს სურს თავის თავი იპოვოს, მკითხველი მთელი მისი გრძნობით იმსჭვალება და უნდა იყოს ისეთი, როგორიც კორჩაგინია. ოსტროვსკის კორჩაგინი საბჭოთა მზით გამთბარი გმირია, ჩვენი ეპოქის უანგარო, სოციალიზმისათვის თავდადებული ადამიანი.

საბჭოთა ახალგაზრდობას არასდროს არ დაავიწყდება ოსტროვსკი. თაობიდან თაობაში ზღაპრად გადავა პაველ კორჩაგინისა და რაიმონდ რაევსკის გმირული პროფილი.

მხოლოდ სოციალიზმის ეპოქას შეეძლო წარმოეშვა ასეთი იშვიათი ადამიანი. მხოლოდ სოციალისტურ სამშობლოში შეიძლება აღიზარდოს ასეთი მგზნებარე, ფოლადივით გამოწრთობილი ახალგაზრდა, როგორიც იყო ნიკოლოზ ოსტროვსკი.

ოსტროვსკის ნათელი ხსოვნა მუდამ ენთება სტალინურ მოდგმათა გულში.

ს. ჭილაია.

*) „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, გვ. 217.

# ფრიადოსან და დამკვრელ სტუდენთა კონფერენცია

25 დეკემბერს შედგა უნივერსიტეტის საუკეთესო ადამიანთა — ფრიადოსან და დამკვრელ სტუდენტთა კონფერენცია.

კონფერენცია ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რომ უნივერსიტეტის კლუბში თავი მოეყარა სწავლის მამაცებსა და გმირებს — ფრიადოსნებს. ისინი ერთიმეორეს ესაუბრებიან თუ რა გზით მიაღწიეს გამარჯვებას. უნივერსიტეტის ამ საამაყო ბედნიერი ახალგაზრობის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ისინი დღეს გამოვლენ და ილაპარაკებენ თუ როგორ ეუფლებიან მეცნიერებას, როგორ მუშაობდნენ, რომ გამხდარიყვნენ ფრიადოსნები და ამავე დროს გამოავლენენ მუშაობაში ხელშემშლელ მიზეზებს.

ფარდა აიხადა.

სცენის სიღრმეში, ალისფერ დროშებში აღმართულია სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორის, ხალხთა დიდი ბელადის, საყვარელი სტალინის ბიუსტი და პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

ტაშის უწყვეტ გრიალში არჩეული იქნა საპატიო პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: **დიდი სტალინი,** მშრომელი კაცობრიობის იმედისა და მხსნელის მშობლიური სტალინის დასახელებისას აუდიტორიაში იგრიალა მქუხარე ტაშმა, **მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, კოსიორი, პოსტიშევი, პეტროვსკი, ჟდანოვი, დიმიტროვი, ბერია, კოსარევი, ტელმანი, დოლორეს იბარური (პასიონარია).**

მოხსენებით — ფრიადოსან და დამკვრელ სტუდენტა შორის მუშაობისა და ახალი ამოცანების შესახებ გამოვიდა უნივერსიტეტის სტუდეტთა ალმასბიუროს თავმჯდომარე **ამხ. ვ. გევეჭკორი.**

კონფერენცია გადაიქცა უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის გამარჯვების დემონსტრაციად. სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა ამხილეს მთელი რიგი ხელშემშლელი მიზეზი და გაამახვილეს სათანადო ორგანიზაციების ყურადღება დაბრკოლებათა დროულად აღმოფხრისათვის.

კთნფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა **დიდი სტალინის** საუკეთესო მოწაფეს ა/კ. და საქართველოს ბოლშევიკების ბაცად ხელმძღვანელს ამხანაგ **ლ. ბერიას.**

კონფერენციამ დაამტკიცა სტუდენტთა ალმასბიუროს პრეზიდიუმის მიერ დასაჯილდოებლად წარმოდგენილი ფრიადოსანთა და საუკეთესო დამკვრელთა სია.

დასასრულს კონფერენციის მონაწილეთა საპატივცემულოდ გაიმართა კონცერტი.

## ჩემი მიზანი ფრიადზე სწავლაა

ბავშვობიდანვე მაინტერესებდა დავუფლებოდი ბიოლოგიის მეცნიერებას. ამ მიზნით გატაცებულმა სიხარულით შევაღე უნივერსიტეტის კარები.

ვცდილობ მოვიპოვო ფრადოსნის — ჩვენი ქვეყნის საამაყო ადამიანის სახელწოდება.

გარდა ქართული და რუსული ენისა, ვსწავლობ გერმანულ ენას. ბიოლოგიის წამყვანი საგნები წარმატებით ჩავაბარე, პოლიტსკოლაში ვითვლები მოწინავე მსმენელად. მაქვს საკუთარი ბიბლიოთეკა. შევიძინე მარქსიზმის კლასიკოსების ლიტერატურა.

**რუსუდან ბერიძე.**



წარჩინებული სტ. რ. ბერიძე

## საბრძოლო ამოცანები

ალმასბიუროს თავმჯდომარე ამხ. **ვ. გევეჭკორი** ვრცლად შეეხო ფრიადოსანთა შორის მუშაობას და აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფრიადოსანთა შორის მუშაობის საქმეში საკმაო წარმატებას მიაღწია. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი თვალსაჩინო ნაკლი გვაქვს ფრიადოსან და დამკვრელ სტუდენტთა მუშაობაში. მაგალითად, ზოგიერთ ფაკულტეტზე ძალზე ცუდათ არის სოცშეჯიბრების საქმე დაყენებული. შარშან ფიზკულტურის ფაკულტეტზე აღებული ვალდებულებანი გაამართლა მხოლოდ თერთმეტმა პროცენტმა, ეკონომიურზე —34 პროცენტმა, ფილოლოგიურზე —42 პროცენტმა და სხ.

მთელი ჩვენი ქვეყანა სწავლის ფრიადოსანს უყურებს როგორც გმირს, მაგრამ არ ვარგა ისეთი ფრიადოსანი, რომელიც გადავარდნილია „აკადემიხმში“ და საზოგადოებრივ - მასიურ მუშაობას თავს არიდებს. ასეთები კი ჩვენ გვყავს. ეს უსათუოდ შედეგია ფაკულტეტის სტუდენტთ ორგანიზაციების სუსტი მუშაობისა. მათ უნდა მიაღწიონ ყველა ფრიადოსნის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას.

გარდა ამისა, მიუხედავად მთელ რიგ მიღებულ ზომებისა, ზოგიერთ ფაკულტეტზე ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას და არანორმალურ მოვლენებს, რაც ძირფესვიანად უნდა აღმოვფხვრად. ამ მიზნით კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა და ერთსულოვნად დავრაზმოთ ყველა ორგანიზაციები ფრიადოსნობისათვის ბრძოლაში.

დასასრულ ამხ. გევეჭკორმა მოიყვანა სასწავლო დისციპლინის დარღვევისა და ზოგიერთი სტუდენტის მხრივ არაწესიერი ყოფაქცევის კონკრეტული ფაქტები.



ფრიადოსანი ი. შაპირო



ფრიადოსანი მ. მელაძე

## ფრიადოსნები ჩვენი საამაყო ადამიანებია

სიტყვით გამოვიდა პრორექტორი **გ. ჯანელიძე.** მან სთქვა:

ა.-კ. და საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ბრძნული სიტყვები: „მოწაფეთა გმირობა და სიმამაცე — ფრიადზე სწავლაა“, ჩვენს წინაშე აყენებენ ამოცანას — უფრო გავზარდოთ უნივერსიტეტის ფრიადოსან სტუდენტთა რიცხვი.

ფრიადოსნად გახდომის ძირითადი პირობაა — ისწავლო დამოუკიდებელი მუშაობა, იმეცადინო მუყაითად და ბეჯითად. ჩვენ გვაქვს საამისო პირობები, მაგრამ საჭიროა ყველა შესაძლებლობის გამოყენება. დამოუკიდებელი მუშაობის პირობები ჩვენ შევქმენით არა მარტო იმ მხრივ, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული მდიდარი ლიტერატურით, არამედ აგრეთვე გვაქვს საკმაოდ მდიდარი ლაბორატორია (ქიმიის ფაკ. სტუდენტებისათვის). ფრიადოსანი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ მან ყველა საგანში ხუთები მიიღოს, ის არ უნდა განისაზღვროს მარტო პროგრამით, ის მეტს უნდა კითხულობდეს და არაფრიადოსნებსაც უნდა ეხმარებოდეს.

მე ვფიქრობ, ფრიადოსანთა მოქრაობა, რომ უფრო გავშალოთ აჭიროა ჩვენი ფრიადოსნების გაგზავნა საექსკურსიოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, საწარმოო პრაქტიკა ეწყობოდეს უდიდეს სამრეწველო ქალაქებში. ყველა ფაკულტეტმა უნდა შემოიღოს სამეცნიერო კრებულები, სადაც დაიბეჭდება ჩვენი ფრიადოსანთა ნაწერები.

მე ავღნიშნე, რომ ჩვენს სტუდენტებს საკმაო პირობები აქვთ რომ ისწავლონ ფრიადზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გვქონდეს ცალკეული, ნაკლი, რომელიას აღმოფხვრა აუცილებელია. ჩვენს საამაყო ადამიანებს — ფრიადოსნებს შეუძლიათ უნივერსიტეტს მეტი მოთხოვოს, ვინემ გაკეთებული გვაქვს მათთვის. ჩვენ კი ვალდებული ვართ თქვენს მოთხოვნას საქმით უპასუხოთ.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ჩვენი ფრიადოსანი ჩამორჩება საზოგადოებრივ-მასიურ მუშაობაში. ეს ყოვლად მოუთმენელია. ჩვენ გვინდა სწავლის ფრიადოსნები ამავე დროს იყვნენ აქტიური მუშაკები საზოგადოებრივ მასიურ მუშაობაში.

პარტია და ხელისუფლება გვავალებს საბჭოთა ქვეყანას მივცეთ მაღალი კვალიფიკაციის მქონე კომუნისტურად აღზრდილი კადრები. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ამ დავალების ბოლშევიკურად შესრულება. ეს დავალება შესრულებული იქნება, თუ ფრიადოსანთა რიცხვს გაცილებით უფრო გავზრდით და თუ ფრიადოსანთა შორის არ იქნება არცერთი ჩამორჩენილი საზოგადოებრივ - მასიურ მუშაობაში.



ფრიადოსანი ნ. ჭანკვეტაძე

## მთავარია შესრულების შემოწმება

არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ეპყრობიან მოსწავლეებს ისეთი მზრუნველობით, როგორც სტალინის ქვეყანაში. ჩვენ სტალინური ზრუნვით ნასაზრდოები თაობა ვართ. ჩვენ ყველაზე ბედნიერი ახალგაზრდობა ვართ დედამიწის ზურგზე. ჩვენ შექმნილი გვაქვს ყოველგვარი პირობები, რომ ვისწავლოთ ფრიადზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეუქმნა სტუდენტებს სწავლის საუკეთესო პირობები. ამის შედეგია ის ფაქტი, რომ ჩვენთან ფრიადოსანთა რიცხვი ყოველ სემესტრობით იზრდება.

მაგრამ აქ ხაზი უნდა გაესვას, რომ უნივერსიტეტის ზოგიერთ ჯგუფში სოცშეჯიბრების საქმე ორივე ფეხებით მოიკოჭლებს. მთავარია სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

**ბორის აბაკელია.**

## ვისწავლოთ ფრიადზე

სტალინური მზე გვათბობს და გვახარებს. ჩვენ მიერ განვლილი გზა სახელოვანია. აწმყო და მომავალი ლამაზი და საამურია. საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში მილიონობით სწავლობენ ქალები და გვაძლევენ მეცნიერებათა მწვერვალების დაპყრობის საუკეთესო მაგალითებს.

სად, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში — გარდა საბჭოთა კავშირისა, — აქვს ასეთ ფაქტს ადგილი?

ჩვენი ვალდებულებაა გავამართლოთ ეს მზრუნველობა.

**ოლღა ჩხეტია.**

## აი რა გვიშლის ხელს

ჩვენი უნივერსიტეტის საამაყო ადამიანები — ფრიადოსნები ჩასახლებული უნდა იყვნენ სამადგილიან ოთახებში, მაგრამ ეს ასე როდის ხდება. უნივერსიტეტის საყოფაცხოვრებო სექტორი დანაშაულებრივ უდარდელობას იჩენს ამ საქმეში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომუშავეებმა ხშირად არც კი იციან თუ რა წიგნები აქვთ და ისეთ წიგნებსაც არ იძლევიან, რომელიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება.

სასწავლო პროცესის ორგანიზაციის თვალსაზრისით, მე მგონია, რომ მოუთმენელია საქართველოს ისტორიის სწავლება სათანადო გეოგრაფიული რუქების გარეშე. ან რატომ არ შეიძლება ამ საგნის სწავლებასთან დაკავშირებით ექსკურსიების მოწყობა?

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ფრიადოსნებისაგან მუშაობის მეთოდები. ამისათვის კი საჭიროა ხშირად მოეწყოს პროფესორ-ლექტორთა და ფრიადოსანთა საუბარი არაფრიადოსან სტუდენტებთან, — ამბობს საუკეთესო დამკვრელი სტუდენტი **ალ. ხოფია.**



ფრიადზე კურსდამთავრებული კუტუბიძე

## სესიებისთვის ემზადებიან

ბიოლოგიის ფაკულტეტი საზამთრო სესიებისათვის მზადებას დროულად შეუდგა. თითოეულმა სტუდენტმა იცის სასესიო საგნების ჩაბარების დრო და აუდიტორია. თითქმის ყველა საგანში სწარმოებს განსაზღვრულ საათებში კონსულტაციები. სტუდენტები ღებულობენ კონსულტაციებს მათთვის გაურკვეველ საკითხებზე.

# პატარა ფელეტონი

## „ხერხი ჯობია ღონესა თუ“...

**ვახილ ხარალიძეს** დიდხანს არ დაეძინა. ის რაღაც უცნაურმა ფიქრებმა და ოცნებამ გაიტაცა.

— მოდი წავიკითხავ რამეს, სთქვა მან და ხელში მოხვდა „ხალხური ანდაზათა კრებული.“ გადა ფურცლა რამდენიმე გვერდი და ყურადღება მიაპყრო მსხვილი ასოებით დაბეჭდილს ხალხურ თქმულებას: **„ხერხი ჯობია ღონეს თუ კაცი მოიგონებსა“.**

— მართლაც, რომ გენიალური თქმულებაა! რა ჯობია, ხერხს, მოხერხებული კაცი ყოველთვის კარგად ცხოვრობს.

ჩაფიქრდა.

— არა, უსათუოდ მეც რაიმე ხერხი უნდა მოვიგონო.

შეუდგა საქმეს.

ფიქრობს, ნერვიულობს, მოხერხების ათასგვარ ვარიანტს თხზავს. მაგრამ ჭკუაში არც ერთი არ მოდის.

— გასკდი თავო და მაინც გამოიგონე რამე ხერხი, ემუქრება ის თავს.

თავი არ სკდება, ხერხიც არ იბადება.

კიდევ ჩაფიქრდა. უცბად თვალები აუციმციმდა.

— ევრიკა! სთქვა მან, მივაგენი ხერხი. გენაცვალე ჭკუითა და გონებით ალსავსე თავო ჩემო, და ამაყად გადაისვა თავზე ხელი.

დაიწყო მსჯელობა:

— მე ვიცი **გრიგოლ არსენიშვილი** უნივერსიტეტში ჯერაც არ გამოცხადებულა, ის სადღაც სოფელში მასწავლებლობს. მისი სტიპენდია ტყვილა უბრალოდ იკარგება. ვის რა დააკლდება მე რომ მოვახერხო მისი მიღება? არ ვის. მართლა, რომ ხერხი ჯობია ყველაფერს.

აი სანამდე მივიდა „ხერხის მაძიებელი“ კაცი.

მალე ოცნება საქმედ აქცია. „გენიალურ ხერხს“ ხორცი შეასხა.

— იცით რა, გრიგოლ არსენიშვილი მძიმე ავად არის, მე დამავალა სტიპენდიის მიღება. თუ შეიძლება მომეცით, მიმართა მან სტიპენდიის დამრიგებელს, რომელსაც ეჭვიც კი არ შეპარვია ვასილ სალარიძის კეთილსინდისიერებაში.

ამგვარი „ხერხით“ ჩაიჯიბა მან არსენიშვილის სახელზე გამოწერილი სექტემბერ-ოქტომბრის სტიპენდია.

ნაძალი ფულით დაიწყო ხელგაშლილი ცხოვრება—„ღვინო, დუდუკი, ქალები“...

სალარიძე დღესაც არხეინად გრძნობს თავს, უხარია რომ მისი ხერხი ისეთი რთული და ღირსშესანიშნავი გამოდგა, რომ დღემდე მის „საიდუმლოებას“ ვერ ჩაწვდა ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანატი.

კარგი იქნება თუ დეკანატებიც შეერთებული ძალ-ღონით გამოიგონებენ ისეთ ხერხს, რომლის საშუალებით აღმოიფხვრება ასეთი უმსგავსოებანი სტიპენდიის დანიშვნა-გაცემის საქმეში.

ბედნიერიძე.

# ნაძვის ხე



თ. ს. უ. საბავშვო კერის ბავშვები, აღფრთოვანებულნი ნაძვის ხით

მუდამ ბედნიერი და საამო გრძნობითაა ალსავსე სტალინური ეპოქის ბავშვები. მაგრამ არაჩვეულებრივი იყო უნივერსიტეტის საბავშო კერის ბავშვთა სიხარული 30 დეკემბერს. ყველა გულის ფანცქალით ელოდა პატარძალივით მორთულ-მოკაზმულ ნაძვის ხის დანახვას.

— ნეტა როდის გამოიტანებენ, ამბობს თვალებცქრიალა გოგონა **მარინა ცინცაძე.**

— ამბობენ ძალიან ბევრი სათამაშოები აბია ნაძვის ხესო, მართალია მასწავლებელო, მიმართავს ხელმძღვანელს მოთმინებიდან გამოსული პატარა **კუკური რუხაძე,** მაგრამ ხელმძღვანელი თავს იკავებს, ამ შეკითხვაზე არ პასუხობს. ნაძვის ხის მორთვა-მოკაზმის ამბავი „საიდუმლოდ“ არის დაცული. უნდათ „მოულოდნელი საჩუქარი“, მიუძღვნან ბავშვებს.

ვაშა კოხტად მორთულსა
ვაშა, ვაშა ნაძვის ხეს
საჩუქრებით მორთული
ყველას გულს გვიხალისებს

*
* *

ყველგან სიხარულია
და ყველანი მღერიან,
ვაშა დიად სტალინსა!
ვაშა, ძია ბერიას!

ამ კუპლეტებს ხშირად იმეორებენ მერი ხუხუნეიშვილი და სოსო ჩხეტია, რომლებსაც „დერიჟორობს“ საბავშვო კერაში ახლად „კურსდამთავრებული“ ლამარა გოგუა.

— ბავშვებო, მწკობრათ ჩემსკენ, გაისმის ხელმძღვანელის ხმა.

ყველას სახე აენთო სიხარულით. შეყავთ ისინი მორთულ დარბაზში, სადაც გაჩირაღდნებული ამაყად და თავმომწონედ დგას „ნაძვის ხე“.

ბავშვებს თვალები აუჭრელა მრავალფეროვანმა სათამაშოებმა.

ავტო, ბურთები, ბრჭყვიალა მძივები, დედოფალები, კურდღელი, დათვი, მელია და თვით „ბაბუა ზამთარი“, ჩურჩხელა, მანდარინი, კაკალი, რას არ ნახავდა თვალი ამ „დალოცვილ“ ნაძვის ხის ტოტებზე.

იწყება კოლექტიური ცეკვა თამაში, ლექსები, სიმღერები, დაუსრულებელი ჟრიამული, კისკისი...

—მადლობა ძია სტალინს ასეთი ბედნიერი და მიმზიდველი ცხოვრების შექმნისათვის, შესძახებს მქუხარე ხმით თვალებგაბრწყინებული **ლამარა ქარცივაძე,** რომელსაც ფარავს ტაში, გრიალი და „ვაშას“ შეძახილები.

ჭეშმარიტად რომ ბედნიერები არიან ჩვენი ქვეყნის ბავშვები.

გურიკოს მამა.

# მოკლე სიგნალები

## უყველო „ხაჭაპური“

— მოგვეცით პური და ყველი.
— არ არის.
— ჩაი?
— არც ჩაი არის.

ასეთ „დიალოგს“ ხშირად აქვს ადგილი უნივერსიტეტის ბუფეტის კამგესა და სტუდენტებს შორის. ბუფეტი გაცალიერებულია განსაკუთრებით სალამოობით. ბუფეტის მუდმივი „მენიუ“ არის მხოლოდ უშაქრო „კისელი“ და უყველო „ხაჭაპური“.

ნუთუ ბუფეტის მუშაკებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ სტუდენტები პურითა და ჩაით?

ეს მეტად ადვილი საქმეა, მაგრამ საჭიროა მხოლოდ საამისო სურვილი და უნარი.

გ. დონაძე.
ალ. სახანბერიძე.

★

## „დღეს არა და ხვალ“

ჯერ კიდევ აგვისტოში დაგვპირდა ადმინისტრაცია სტამბის მუშებს, რომ შეშით უზრუნველგვყოფდა, მაგრამ დღემდე მხოლოდ დაპირებით და „დღეს-ხვალობით“ გვაიმედებენ. რომ იმედი და დაპირება არ ყოფილიყო, ჩვენ თვითონვე ვიზრუნვებდით შეშით მომარაგებისათვის.

ვფიქრობ, არც ისე ძნელია კოლექტიურად შეშის შეძენა, რომლის ღირებულება ყოველთვიურად დაგვექვითება.

სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის და ზამთარს თავისი სუსხი არ გამოუჩენია, უნდა მოგვარდეს ეს საკითხი.

სიტყვა ეკუთვნის ადგილკომს.

ასოთ-ამწყობი კ. ბარმატინი.

# ნაპერწკალი

27.303.000 მოსწავლეა ს. ს. რ. კავშირში. ეს რიცხვი მეტია ვინემ მოსახლეობის რაოდენობა ავსტრიაში, ბელგიასა, საბერძნეთსა და შვეიცარიაში ერთად. არსებობს სულ 169.761 სასწავლებელი, რომელთაგან 600 უმაღლესია, 794 სამეც.-საკვლეო ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებს 37.200 მეც. მუშაკს.

## დროა გარდაიქმნას მუშაობა

მოუქნელობა, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება და ბიუროკრატიზმის ბაცილებით დაავადება, აი რით ხასიათდება უნივერსიტეტის კულტსაყოფაცხოვრებო სექტორის (ხელმძღვანელი ცხოიძე) მუშაობა. მან აქამდე ისეთი საკითხიც კი ვერ მოაგვარა, როგორიცაა სტუდენტების ჩასახლება სტუდენტთა ქალაქში დათმობილ 5 კორპუსში პროფილებისა და კურსების მიხედვით.

მაგრამ ვთქვათ „სიშორის“ გამო სტუდენტთა ქალაქამდე ვერ მიწვდა საყოფაცხოვრებო სექტორის „მზრუნველი“ ხელი, მაგრამ მისმა ხელმძღვანელმა რატომ ერთხელ მაინც არ შეიხედა ცხვირის წინ არსებულ ბუფეტში, სადაც სრული უწესრიგობა იყო გამეფებული. ეს კიდევ არაფერი: ცხოიძემ ბუფეტის შემმოწმებელ კომისიის მუაშაობაც კი იუკადრისა და წარბშეუხრელად განუცხადა მის წევრებს: „თქვენი საქმე არ არის გაფლანგვაზე და სხვა ასეთ „წვრილმან“ დეფექტებზე ლაპარაკი. თქვენ მხოლოდ გევალებათ დასახოთ ღონისძიებანი ბუფეტის შემდგომ მუშაობის გასაუმჯობესებლადო“.

მიუხედავად პასუხისმგებელი კაცის ასეთი უპასუხისგებლო განცხადებისა, კომისია „ჯიუტი“ გამოდგა და ბოლომდე მიიყვანა დაწყებული საქმე, რის შედეგად მოიხსნა ბუფეტის გამგე გოშაძე და მისი საქმე გადაეცა პროკურატურას.

კმარა. დროა უნივერსიტეტის საყოფაცხოვრებო სექტორმა გარდაქმნას მუშაობა.

ქ. შეროზია.

# ფაკულტეტების ქრონიკა

★ **ფიზ.-მათ. ფაკულტეტმა** მიმდინარე სემესტრიდან მოიწვია 2 ცნობილი სპეციალისტი პროფ. **ვალფიში** (რიცხვთა თეორია) და პროფ. **ბერგმანი** (ფუნქციათა თეორია).

★ **სალიტ. ფაკულტეტმა** 29 დეკემბერს, ტ.ს.უ. კლუბში მოაწყო ორდენოსან მწერალ **ნ. ოსტროვსკის** ხსოვნისადმი მიძღვნილი სალამო.

**მორიგი სცენა სტუდენტთა ქალაქის სასადილოში**



მუდამ ჩხუბია კოვზისთვის
„ტკბილი“ ძილი და ლოდინი.

არც გერიელი სადილი
არც დანა, თეფში, როდინი...

# მივცეთ ქვეყანას 150 ათასი მფრინავი

## მივდივარ თვითმფრინავზე

მენჟინსკის სახელობის ქარხნის მუშების მოწოდებამ— მივცეთ ქვეყანას 150 ათასი მფრინავი გულში სიხარულის კოცონი აშინთო. გადავწყვიტე — რათაც არ უნდა დამიჯდეს უნივერსიტეტისაგან მოუწყვეტლად ვისწავლო ფრენა კარგად, მაღლა და შორს. მინდა გავხდე გმირი მფრინავი, რომ საჭიროების დროს გვერდში ამოუდგე მათ, რომელთა სახელები საამაყო ჩვენი ქვეყნისათვის.

მივისწრაფვი თვითმფრინავისაკენ.

სალომე ნატროშვილი.

## აიღეს ვალდებულება

მენჟინსკელთა მოწოდების საპასუხოთ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ხუბულავამ, სეფისკვერაძემ, ორაგველიძემ, რატიანმა, დონაძემ, აბულაძემ, ვასო სალაძემ (პარაშუტისტი), ხუნდაძემ, გოგუამ, ტყემალაძემ, ბალაშვილმა, კალანდარაშვილმა, ფარულავამ და სხვ. გამოსთქვეს სურვილი და აიღეს ვალდებულება რომ უნივერსიტეტიდან მოუწყვეტლად შეისწავლიან საფრენოსნო საქმეს.

დ. კალანდია.

პ.-მბ. რედაქტორი:
პ. ხოგუა

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფია

მთავლიტის რწმუნებული № ზ—32